საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного народных депутатов

№39 (6265) შაბათი 1990 წელი 31 მარტი ფასი 3 კაპ.

წლის მოსავალს—მყარი საფუძველი!

მოგლვავდა საქმე

გაზაფხულია, მიწას პირი უშრება და საგაზაფხულო საქმიანობისაკენ უხმობს მშრომელ ადამიანს.

ორბელის კოლმეურნეობაში ვაზს 32 ჰექტარი უჭირავს. მიმდინარეობს ვაზის სხვლა. გასხლულია 20 ჰექტარი. კოლმეურნეობაში უკვე დამზადებულია საჭირო რაოდენობის ჭიგო.

დაიწყო და მიმდინარეობს ხეხილის ბაღების სხვლა-ფორმირება. ეს სამუშაო შესრულებულია 10 ჰექტარზე.

მექანიზატორები ნოდარ აბაშიძე და შოთა ბურჯალიანი კიდევ ერთხელ დასმით აყენებენ მანქანა-მექანიზმებს, რათა 5 აპრილიდან წარმართონ ხვნა-თესვის კამპანია.

გაზაფხულის ხელსაყრელ ამინდს ნაყოფიერად იყენებენ კოლმეურნეები: ჯიუ გურგუჩიანი, ჭიჭიკო გზობავა, გრიშა სვანიძე, ბიქტორ ბახსოლიანი, ვლადიმერ სანიკიძე, შალვა ბურჯალიანი და სხვები.

შრომითი გაზაფხული ზვარსა და მინდორში უხმობს დიდსა და პატარას.

ბ. ბაქრაძე.

მხარი ვუსწოროთ მოვლენებს

მძიმე და დაძაბული დღეები უდგას საქართველოს. ასეთი პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისის წინაშე იშვიათად თუ მდგარა ქართველი ხალხი. საოცრად სწრაფად იცვლება ცხოვრებისეული მოვლენები როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ სფეროში. აგერ ახლა პოლიტიკური კამპანიისათვის, საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის ვემზადებოდით, ჩვენს გაზეთში დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიული ცნობები, საარჩევნო პროგრამები დაიბეჭდა, საარჩევნო მზადებაც გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და აი, არჩევნები გადაიდო.

ახლა მთავარია სწორად, ჯანსაღად და გააზრებულად შევხედოთ მოვლენებს, რწმენით, კეთილსინდისიერად, ერთგულად ვაკეთოთ ჩვენი საქმე და საკეთებელი. დღეს ყველაზე დიდი ამოცანების წინაშე სოფლის მეურნეობის მშრომელები დგანან. აგერ უკვე ერთი თვეა, რაც გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობა, კვირტებიც იფეთქებენ, ბუნება სამეჯლისოდაა გამზადებული. მეჯლისი კი ჩქენებურად, გლეხურად, შრომას ნიშნავს. სწორედ რომ შრომის, გარჯის დრო დაგვიდგა, ახლა უმზადდება საფუძველი წლის მოსავალს, ეს ხომ რაიონის სოფლის მშრომელთა ტრადიციაა. ყოველგვარი წარმატება ახლა იმაზეა დამოკიდებული, როგორ საფუძველს მოვამზადებთ. მშრომელ კაცს, მიწის ერთგულს და მეგობარს, ქვეყნის და ეროვნული საქმით გულაღტკინებულს, თვალი გვერდზე როდი გაურბის, შრომაში, მიწისადმი ერთგულებაში ხედავს ხსნის ერთადერთ გზას. სულსა და გულში ერთგულება და სიკეთის ქმნა აქვს გამჯდარი და იმ მიწას, ჯერჯერობით რომ საიჯარო ხელშეკრულებით აქვს ჩაბარებული, მზრუნველობას და მოვლა-პატრონობას არ აკლებს. საბედნიეროდ, კიდევ კარგი, რომ ასეთი ადამიანები ისევ შემორჩა ჩვენს მარჩენალ სოფლებს, მაგრამ ვაი, რომ მათ გვერდით ისეთებიცაა, ვისაც თითი-თრთზე არ დაუკარებია, გაუსხლავ ვაზს გულგრილად მისჩერებია, სიხარბეს შეუპყრია, რაღაცას თავის სასარგებლოს ეძებს, თვალი სხვაგან გაურბის. სიახლემ, შრომის ორგანიზაციის მესამე ფორმამ უნდა დაიმკვიდროს ადგილი, არადა გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის მოსურნეებიც გვყვანან და იჯარის სიკეთით დაინტერესებულნიც ის, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ხვალინდელი დღე, ლოდინს არ ამჯობინებს, იცის, რომ მიწა, რაც იჯარით აქვს, ის გადაეცემა მუდმივ სარგებლობაში, მემკვიდრეობის უფლებით. ხოლო იმ მიწებს, რომლებიც იჯარით განაწილებისას უპატრონოდ დარჩა, ახლა უნდა გაუჩნდეს პატრონი.

ნაკლოვანებებზე თვალის დახუჭვა არ ეგების. რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ძალზე ჭიანურდება საგაზაფხულო სამუშაოები — ბაღ-ვენახების სხვლა-ფორმირება, ხვნა, და სხვა სამუშაოები, რაც დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს.

გაზაფხული ყველაზე დიდ სიძნელეს მხვნელ-მთესველთა წინაშე ქმნის. ის ფაქტი, რომ გარდა ტვიშის კოლმეურნეობისა, რაიონის არც ერთ კოლმეურნეობაში საგაზაფხულო ხვნა არაა დაწყებული, ხოლო ვაზის სხვლა, რაც სადღეისოდ ასე საშური და გადაუდებელი საქმეა, სანახევროდაც არაა, სჯგანგაშო და აღმაშფოთებელია.

არ შეიძლება არ შეგვაშფოთოს ზოგიერთი სამეურნეო თუ პარტიული ხელმძღვანელის უმოქმედობამ, მხოლოდ საკუთარი სამრეკლოდან თვალთახედვამ, გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის ლოდინმა, რამაც განაპირობა ჩამორჩენა.

საქართველოს დღევანდელობა, იმ მოვლენების პროგნოზირება, რაც დღევანდელ ეტაპზეა მოსალოდნელი, გვკარნახობს, რომ მხოლოდ პირადულით შემოფარგვლა, საკუთარი მიზნებით მოქმედება სამარცხვინოა და სხვა არაფერი.

ჩვენი ყველას, და, განსაკუთრებით კი, სოფლის მშრომელთა გადაუდებელი საზრუნავია, დაჩქარებული ტემპით წარვმართოთ საგაზაფხულო სამუშაოები, მხარი ვუსწოროთ მოვლენებს, ყველაფერი გავაკეთოთ ჩამორჩენის დაძლევისა და საგაზაფხულო სამუშაოების დაჩქარებული ტემპით წარმართვისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის

დადგენილება

საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის მოწვევის ვადების, წინასაყრილობო კამპანიის ჩატარების, წარმომადგენლობის ნორმისა და დელეგატთა არჩევის წესის შესახებ

1. მოწვეულ იქნეს საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა 1990 წლის 15 მაისს ქ. თბილისში.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ყრილობის დღის წესრიგი განსაზღვრულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის მიერ.

3. დაწესდეს საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმა: ერთი დელეგატი პარტიის 560 წევრისაგან.

4. ნება დაერთოთ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის საკითხთა კომისიის წინადადებების გათვალისწინებით თვითონ განსაზღვრონ წინასაყრილობო კამპანიის ჩატარების ფორმები, საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის დელეგატების არჩევის წესი.

5. ანგარიშგება-არჩევნები, კრებები და კონფერენციები საქართველოს კომპარტიის ყრილობის დელეგატთა ასარჩევად გაიმართოს 1990 წლის 30 აპრილამდე.

6. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს რეკომენდაცია მიეცათ ამ კრებებსა და კონფერენციებზე განიხილონ რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებისა და ამ მხრივ პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის საკითხი. შეიმუშაონ კომუნისტთა კონსოლიდაციის, პარტიული მუშაობისადმი ახლებური მიდგომის, პარტორგანიზაციების ქმედუნარიანობის გაძლიერების წინადადებები.

7. კრებებისა და კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის წევრებმა, ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელმა მუშაკებმა. ამ საკითხთან დაკავშირებული კონკრეტული წინადადებები დაამუშაოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილებამ.

8. დაევალოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ყრილობის მოსამზადებელი საქმიანობის წარმართვისათვის ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და წევრობის კანდიდატების, პარტიული აქტივის, მეცნიერებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლების მონაწილეობით შექმნას შემდეგი სამუშაო ჯგუფები:

—საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა და ყრილობის დადგენილებათა პროექტების მოსამზადებელი;

—წინასაყრილობო დისკუსიის, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარების, პარტიული პრესის მიერ წინასაყრილობო კამპანიის გაშუქების ორგანიზაციისა და ამის შედეგად მიღებული მასალების ანალიზის;

—პარტიული კონტროლისა და სარევიზიო მუშაობის სისტემის გარდაქმნის წინადადებების შემუშავების;

—პარტიული ბიუჯეტის ფორმირებისა და გასაღების, საწევრო პარტიული შენატანების გადახდის ნორმების, პარტიული აპარატის საშტატო განრიგის შესახებ წინადადებათა მოსამზადებელი.

9. პარტიულმა პრესამ სისტემატურად გააშუქოს პარტიული კრებებისა და კონფერენციების მიმდინარეობა, წინასაყრილობო სამზადისი, დელეგატებად არჩეულ კომუნისტთა პირადი და საქმიანი თვისებები, მათი პოზიციები პარტიული მუშაობის გარდაქმნის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველოს კომპარტიის როლისა და ადგილის განსაზღვრის საკითხებთან დაკავშირებით.

—საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა შექმნა საქართველოს კომუნისტური პარტიის სტატუსის შესახებ წინადადებების, პარტიის პროგრამის თეზისებისა და წესდების პროექტის მოსამზადებელი კომისია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

1990 წლის 9 აპრილის საქართველოში გლოვის დღედ გამოცხადების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად 1989 წლის 9 აპრილს თბილისში ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად ფართო საზოგადოებრიობის სურვილისა და თხოვნის შესაბამისად, 1990 წლის 9 აპრილი საქართველოში გლოვის დღედ ცხადდება.

ამ დღეს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე უნდა დაიხაროს სახელმწიფო დროშები, გაუქმდეს გასართობი ღონისძიებანი, მომზადდეს რადიოსა და ტელევიზიის შესაბამისი პროგრამები.

რეგერენდა თქვენი აზრი?

20 მარტს შედგა საქართველოს კომკავშირის რიგგარეშე ყრილობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციაში თვითგამორკვევის შესახებ.

ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში, კერძოდ, აღნიშნულია: „საქართველოს კომკავშირი დაარსების დღიდან მოკლებული იყო დამოუკიდებლობას, პრაქტიკულად მას ჰქონდა ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ საკავშირო კომკავშირული ორგანიზაციის ქვეგანყოფილების სტატუსი. ახლა, როდესაც მთელმა საქართველომ მიზნად დაისახა აღადგინოს დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა, ჩვენ, ყრილობის მონაწილენი ვადასტურებთ, რომ ვემიჯნებით კომკავშირის შეცდომებს და ვიღებთ გადაწყვეტილებას განვახორციელოთ კომკავშირის ორგანიზაციული სტრუქტურის თვითგამორკვევის პროცესი. ეს ნიშნავს მის ბაზაზე ახალი ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, აგრეთვე კომკავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას, რომელიც არ გააჩნდა ახალგაზრდობას ამ ორგანიზაციაში მასობრივი მექანიკური ჩაბმის პირობებში".

ყრილობამ მხარი დაუჭირა განათლების სისტემის დეპოლიტიზაციის საკითხს. გაუქმებულ იქნა პიონერთა რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული საბჭოები. რაც შეეხება სკოლების პიონერულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, მათ წინადადება ეძლევათ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება თავიანთი ორგანიზაციების თვითგამორკვევის ბედის შესახებ.

გამოითქვა აზრი სკოლებში ბავშვთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნის შესახებ (ინტერესების მიხედვით). თვითგამორკვევის პროცესს ხელმძღვანელობს ყრილობის მიერ შექმნილი სამუშაო კომისია, ხოლო ადგილებზე კომკავშირის საქალაქო (რაიონული) კომიტეტები. თვითგამორკვევის პროცესში ყოველგვარი გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით დახმარებისათვის ვიწვევთ ფართო საზოგადოებას, ომისა და შრომის ვეტერანებს, სახალხო ფრონტის, რუსთაველის საზოგადოების, წმინდა ილია მართალის საზოგადოების წარმომადგენლებს, ყველა დაინტერესებულ პირს.

თვითგამორკვევის პერიოდში ყველა კომკავშირელს პირადი განცხადების საფუძველზე უფლება აქვს თვითონვე გააკეთოს არჩევანი, დარჩეს კომკავშირის შემადგენლობაში თუ შევიდეს სხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციაში (ვარიანტები შემოთავაზებული იქნება). ის, ვინც ამ წლის 1 ივნისამდე არ გამოხატავს თავის პოზიციას, ავტომატურად იქნება გასული კომკავშირის რიგებიდან.

თვითგამორკვევის სრულყოფილად წარმართვის მიზნით მოეწყობა კომკავშირული კრებები, სხვადასხვა დონის შეხვედრები, სადაც დაწვრილებით იქნება გაანალიზებული ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებების ყველა ნიუანსი.

თითოეულ მოქალაქეს ვთხოვთ მხარდაჭერასა და თანადგომას რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციაში თვითგამორკვევის პროცესის სრული დემოკრატიის დაცვით ჩატარების უზრუნველსაყოფად.

გ. კვირკაშვილი,

საქართველოს ალკკ ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი.

სევდა ჩასდგომია ამ პატარა ბიჭუნას თვალებში გაფერმკრთალებულა კისკისა ღიმილით გამოწვეული მხიარული ნათელი სახეზე, ავადაა და ტკივილის დასაშშვიდებლად ექიმთან მოიყვანეს. ნინო ექიმიც მთელი თავისი პროფესიული ცოდნით ჩასწვდება მისი უგუნებობის მიზეზს, ტკივილს აღმოაჩენს და შეებრძოლება ავადმყოფობას მანამ, სანამ მისი ნორჩი პაციენტი ჩვეულ მხიარულებას არ დაიბრუნებს, შემდეგ კი გამოჯანსაღებული თან გაიყოლებს მკურნალთა მიერ ნაბოძებ მზრუნველობას.

1987 წელს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, ნინო ახვლედიანმა თავის მშობლიურ კუთხეს მოაშურა და რაიონულ საავადმყოფოში ექიმ-პედიატრად დაიწყო მუშაობა, ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად შეუდგა თავისი მისიის აღსრულებას, ერთგულ დარაჯად დადგა ნორჩთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე. მას აქეთ საავადმყოფოს თეთრ პალატებში შემოსულ ნინო ექიმს იმედიანი თვალით შეცქერიან პატარები, მათი მშობლები, გრძნობენ ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის კურსი სწორია.

სურათზე: ექიმი-პედიატრი ნინო ახვლედიანი იკვლევს პაციენტის ჯანმრთელობას.

ზ. ბზოგბავას ფოტო.

მადლობა გზის მშენებლებს

გასული წლის ნოემბერში მეწყრული მოვლენების შედეგად [illegible] ყვა ათასობით [illegible] ტრი მიწის ჩამოწოლა, გადაიკეტა სოფ. გაგულეჩში [illegible] ემავალი გზა. სოფლის 25 ოჯახი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. გზა ფეხით სავალადაც კი აღარ ვარგოდა. ამ მდგომარეობაში ვიყავით სამი თვე. მიგმართეთ რაიონის ხელმძღვანელობას, დახმარება აღგვითქვეს და საქმეც დაიწყო.

გზის კეთებას შეუდგა საგზაო სამმართველო. სამუშაო ობიექტი მეტად რთული აღმოჩნდა. ფართობის სიმცირის გამო ტექნიკის გამოყენება ჭირდა, მაგრამ მექანიკოსტორე ბუჭუ მამარდაშვილის მაღალმა პროფესიონალიზმმა შედეგი გამოიღო. რამდენიმე დღეში გაიჭრა გზა და დაიფარა მაგარი საფარით. სამუშაოს აწარმოებდა გზის ოსტატი რენო დავითულიანი, რომელიც ფიზიკურადაც კი მუშაობდა. ასევე კარგად იმუშავეს მძღოლებმა გ. ლეშკაშელმა, ო. დავითულიანმა და მ. ბურჯალიანმა.

გაგულეჩელი მშრომელები მადლობას ვუხდით საგზაო სამმართველოს შრომით კოლექტივს. მუდამ ასე პირნათლად ეკეთებინოთ თავიანთი საქმე.

სოფელ გაგულეჩის მცხოვრებლები.

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

კითხვა: რა პრივილეგიით და უპირატესობით სარგებლობს ის მოქალაქე, რომელიც სასოფლო საბჭოს საკომლო დავთარში აღრიცხულია, როგორც მარტოხელა კომლი, არის მეორე ჯგუფის ინვალიდი, პენსიონერი, ეკუთვნის მოხუცთა მეურვეობას.

ჯ. სალინაძე,

სოფ. ლუხვანი

პასუხი: როგორც შრომის მეორე ჯგუფის ინვალიდს, გეკუთვნით შემდეგი შეღავათები: თხევადი გაზით, ელექტროენერგიით, წყლით, სათბობით მომარაგება; მომსახურება 50 პროცენტის ფასდაკლებით; რკინიგზის ტრანსპორტით 1 ოქტომბრიდან 1 მაისამდე, საჰაერო ტრანსპორტით 1 ოქტომბრიდან 25 აპრილამდე მგზავრობა 50 პროცენტის შეღავათით; მთლიანად თავისუფლდებით სასოფლო სამეურნეო გადასახადისაგან.

ამასთან თუ სურვილი გექნებათ, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას შეუძლია მოგაწყოთ მოხუცთა სახლ-ინტერნატში, სადაც იქნებით სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე.

საქართველოში

გადაწყვეტილებას საზოგადოება მიიღებს

ნახევარ წელზე მეტ ხანს იკეტება ზამთარში საავტომობილო გზა, რომელიც აჭარასა და ჯავახეთს აკავშირებს ერთმანეთთან. საქართველოს ამ რეგიონების მცხოვრებთა სურვილი იყო ეს გზა მთელი წელიწადი მოძრაობისათვის ვარგისი გაეხადათ. მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით შემოთავაზებული იყო მთებში აეშენებინათ გვირაბი, რომელიც გაივლიდა გოდერძის უღელტეხილს და, ამგვარად, გზა ყოველგვარ ამინდში საექსპლოატაციოდ ვარგისი იქნებოდა. სპეციალისტებს დაავალეს შეესწავლათ ეს პრობლემა.

ერთი გრძივი მეტრი გვირაბის გაყვანა მაღალმთიან პირობებში 25 ათასი მანეთი ჯდება. მაშასადამე, სამუშაოთა ღირებულება ასობით მილიონ მანეთს შეადგენს. გარდა ამისა, მთელი სიმწვავით დგება ენერგომომმარაგების საკითხი—ობიექტის განათება და განიავება, რომლის გადაწყვეტისას არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ დღევანდელი დაძაბულობა ენერგობალანსის მხრივ.

უფრო მიზანშეწონილი ხომ არ იქნება გზის რეკონსტრუქცია იმ მიზნით, რომ იგი მთელი წელი „დია" იყოს? გალერეები, სხვა ზვავსაწინააღმდეგო და ჩამოშვავების საწინააღმდეგო ნაგებობანი მას მთლიანად უსაფრთხოს გახდიან ზამთარშიც.

გამოთქვეს რა თავიანთი აზრი, რომელიც ემყარებოდა სამეცნიერო და პრაქტიკულ მონაცემებს, თათბირის მონაწილეებმა გადაწყვიტეს პრობლემა ფართო განხილვისათვის გამოიტანონ. საბოლოო აზრი საზოგადოებრიობამ უნდა გამოთქვას.

ეფექტიანი ბაღჩეულობა

მეთუთიეობის ზრდას ეხმარება... სათბურები. მათს გამოყენებას ემყარება ახალი ეფექტური მეთოდი, რომლის მიხედვითაც დაიწყო საჯიშე სარგავი მასალის გამოზრდა რესპუბლიკაში ერთ-ერთმა უდიდესმა გურჯაანის რაიონის კოლაგის მეთუთეობის სანერგე საბჭოთა მეურნეობამ. შედეგებმა მოლოდინს ჯადააჭარბა: შარშან აქ წარმოებული იყო 300 ათასი ნამყენი თუთის ნერგი, მაშინ, როცა შარშანწინ—ჯერ კიდევ სიახლის დანერგვამდე—წარმოებული იყო მხოლოდ 30 ათასი ასეთი ნერგი.

საბჭოთა მეურნეობამ მეთოხედ ჰექტარზე მოაწყო მარტივი ტიპის სათბური, რაზეც მცირე თანხა დაიხარჯა, მასში მოყვანილი ნათესარი ძალზე ეფექტური აღმოჩნდა. ამასთან ერთად ამისათვის საჭირო გახდა კიდევ შესაბამისი, კარგად განოყიერებული ნიადაგი, სითბო და წყალი, ნათესარის გულმოდგინედ მოვლა. თუ წინათ მათ მისაღებად საბჭოთა მეურნეობა 5-6 ჰექტარს თესდა, შარშან ამისათვის მას მხოლოდ 0,25 ჰექტარი დახურული გრუნტი დასჭირდა.

ახალი მეთოდით მუშაობის ძირითადი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ საჯიშე ნერგების ზრდის მკვეთრი გადიდება უზრუნველყოფილია საწარმოო ციკლის სამი-ოთხი წლიდან ორ წლამდე შემცირებით.

ნერგების წარმოების ახალი მეთოდი საშუალებას მოგვცემს დავაჩქაროთ აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზის განმტკიცება. ამ მიზნით იგი ინერგება 35 რაიონული ქვეგანაყოფის სანერგე მეურნეობებში, ხონის რაიონის სპეციალიზებულ მეურნეობაში.

აღსანიშნავია, რომ თუთის ძველი ნარგავების რემონტისა და ახლის დანერგვისათვის მოიჯარეებზე, კოოპერატორებზე მათი რეალიზაციისათვის 1991 წლიდან ყოველწლიურად გლეხთა ეზოებში დაირგვება საშუალოდ ორ მილიონამდე საჯიშე ნანამყენე ძირი.

(საქინფორმი).

მეცნიერება მშრომელთა სოფლის სამსახურში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი, ბიძიებო, პრინციპია!

ჰოი, უმადურო ახალთაობავ! სწორედ შენზეა ნათქვამი: დედის წინ მორბენალ კვიცს მგელი შეეამსო. თქვენ თავს ვინ ჩივის, ვაითუ მადაგახსნილმა მგელმა ჩვენც გაგვკრას კბილი. დატეულიყავით თქვენს ტყავში, არ ჯობდა? ამისთანა ცხოვრებას კაცი დათმობდა? ყველაფერი საკმარისზე მეტი გვქონდა: პური, ღვინო, ხორცი, რძე, ჩასაცმელ-დასახურავი... რაო, მხოლოდ ქაღალდზეო? აჰა, კიდევ ერთი მკრეხელობა: სახელმწიფო სტატისტიკისა და ჩვენი სახელოვანი პრესის არ გჯერათ და საკუთარ მუცელს უჯერებთ? არც კი გრცხვენიათ. აბა, ვინ იყო, მთელი მსოფლიო რომ ფეხზე წამოაყენა: ჯერ სოციალისტური ბანაკი, მერე კიდევ—განვითარებადი ქვეყნები. როგორ არ დავეხმარეთ: ეს ეკონომიკურიო, სოციალურიო, სამხედროო. აჯობა თუ არა დამპალ ბურჟუაზიულ იმპერიალიზმს მშობლიურმა საბჭოთა იმპერიალიზმმა? აჯობა! ახლაც იტყვით რამეს?

ბუს რა ჰქონდა და ყვავს გაჰქონდაო? შინ რომ ბავშვი გიტიროდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო? უყურე შენ, არ დააყენეს ანდაზების კორიანტელი? ეჰ, თქვე ვითომდა განათლებულებო, ისიც არ იცით, რომ იდეისათვის შიმშილიც უნდა დაითმინო, ისე კი, თქვენნაირ ჭირვეულ ბავშვებს, საერთოდ არ უნდა აჭამო რამე.

მერე რა, რომ იმდენხანს ვიყავით მსოფლიოში პირველ ადგილზე მეურნეობის თუ საზოგადოებრიობის მოწყობის ყველა სფეროში, რომ „მოგვწყინდა" და ახლა სხვა სფეროებში მოვინდომეთ პირველობა: ნარკომანიაში, პროსტიტუციაში, ყველა სახის დამნაშავეობაში. ყველაფერი უნდა გამოსცადოს კაცმა. რითი ვართ კაპიტალისტებზე ნაკლები?

ეჰ, რა უზრუნველი ცხოვრება წაგვართვით? ვიყავით უფროსი ძმის კალთებქვეშ შეყუჟული თბილად, არც სარჩო-საბადებელზე ფიქრი გვაწუხებდა და არც სულის ცხონებაზე ზრუნვა. მარტო ის რად ღირდა, ხბოს აღტაცებით რომ შევიკუნტრუშებდით ჩვენი „ბელადების" სურათის ნახვისას და რომელ ხატის წინ დაჩოქილ ლოცვას არ ჯობდა ამ სურათების ფრიალი? ხელისგულები ისე გვიხურდა ყოველდღე თათბირებზე, კონფერენციებზე, ყრილობებზე ტაშის ცემით, ერბოკვერცხს მოიწვავდი ზედ. ის იყო ცხოვრება, სულ ტაშფანდურა გვქონდა გაჩაღებული, აბა ეს ხომ ცხოვრება არაა. ვინ იყო ჩვენსავით ბედნიერი მსოფლიოში?

დამპალმა იმპერიალისტებმა ერთი დღე ძლივს მიუგდეს საწყალ ხალხს მხიარულებისა და გართობისათვის—1 აპრილი, სიცილისა და იუმორის მსოფლიო დღე. ჩვენთვის კი ყოველდღე 1-ლი აპრილი იყო. პარტიისა და მთავრობის მშობლიური ზრუნვით გამთბარნი სულ სიცილის ხასიათზე ვიყავით. მერე რა, რომ ხან ხორცის რიგში ვიდექით საათობით, ხან კიდევ ბინის რიგში ათეულწლობით. ამაზე საუბარ ნაბავ. მერე რა, რომ [illegible] ერთი „ხალხის [illegible] „მავნებელი" [illegible] და თავჩაქინ[illegible] ხომ დატოვეს ბოლოს უთავოდ! მთავარი, ბიძიებო, პრინციპია. 1 აპრილის პრინციპი კი იცით თქვენ—დღეს 1 აპრილია, მოტყუება ადვილია.

ჰოდა, კი დრო იყო მე და ჩემმა ღმერთმა, მთელ მსოფლიოსთან შედარებით [illegible] ჯერ მეტი 1 აპრილი გვქონდა. [illegible] დე დავეშვით. [illegible] ეს? ამაში მაინც შეგვენარჩუნებინა. უპირველესი ადგილი.

უცადე ახლა მთელი წელიწადი 1 აპრილს, რომ მოგიცდეს ფეხი და სხვა დროს წამოგცდეს ტყუილი, მაშინვე გეცემიან ყელში, მარიონეტოო, შემოგძახებენ, ახლა მაინც თქვი სიმართლეო. რა თავში ვიხლი თქვენს სიმართლეს. მაგას ერთი ქვაბი ელარჯი მირჩევნია. ელარჯი რატომ? სასიამოვნო ასოციაციებს იწვევს ჩემში. ისეა ყველი და ღომი ერთმანეთში არეული, როგორც ტყუილი და მართალი ჩვენთან. არადა ისე გარ ტყუილს შეჩვეული, ზოგჯერ მაინც მცდება უნებურად. ესაა საქმე?

ბუბა ბურაძე.

ჯაჯალ გულში

სატირულ - იუმორისტული კლუბის გამოშვება №2

ხვალ 1 აპრილია . . .

რატომ გავხდი კასკადიორი

ბავშვობიდან კინომსახიობობაზე ოცნებობდი. მართალია, უფროსები ჩემში ამის ნიჭს ვერ ამჩნევდნენ, მაგრამ მიტაცებდა თავბრუდამხვევი სიუჟეტები, კინოვარსკვლავთა მომაჯადოებელი ღიმილი და ოცნებობდი იმ დღეზე, როცა თვითმფრინავის ტრაპზე გამოჩენილს, ოვაციებით შემეგებებოდნენ მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები. ჩემი ოცნება ოცნებად რჩებოდა, ვერაფრისკი გავწიე, გადავწყვიტე რიგში ჩადგომა. ვფიქრობ, სიტუაცია ყველასათვის ნათელია და მეც არ მივყვები იმის მხატვრულად აღწერას, თუ როგორ ივსებოდა დილის 9 საათიდან უნივერმაღის მისადგომები ხალხით, დილით ცნობილი არხით შევიტყვე, რომ იმპორტული საქონელი უნდა გამოეტანათ მაღაზიებში. როგორც ჩანს, იმ დღეს მარჯვენა ფეხზე ვიყავი ამდგარი და

საქართველოს კომკავშირი—თავის უფროს ძმას

(ქართული სატრფიალო ლირიკის მოტივზე).

დაკარგულის პოვნა მინდა,
რა დავკარგე, ეს არ ვიცი.
სულ შენს ახლოს ყოფნა მინდა,
როგორ დავრჩე, ეს არ ვიცი.
პატრიოტებმა შემრისხეს,
ერთგული ვარ, გეზს არ ვიცვლი,
„თავისუფალი კავშირი"
რით არ მოსწონთ, აღარ ვიცი.
რა ვქნა, რაც ჯერ ქონება ვაქეს,
ერთ სიგელში გადაგიცალ,
თავის გამართლება მინდა,
რით ვიმართლო, ეს არ ვიცი.

როგორ გარდაქმნა „პერესტროიკამ" ზოგიერთი ცნება

ერთა თვითგამორკვევა—თვითიზოლაციად;
ორხელისუფლებიანობა—მრავალხელისუფლებიანობად (პრეზიდენტი, სახალხო დეპუტატთა ყრილობა, უმაღლესი საბჭო, ფედერაციის საბჭო და ა. შ. და ა. შ).
მოკავშირე რესპუბლიკა—სუვერენულ რესპუბლიკად [illegible] „სრულ სუვერენიტეტზე ლაპარაკიც ზედმეტია"
მსოფლიო „ცივი ომი"—საკუთარ რესპუბლიკებთან ცივ ომად.
ბოლშევიკური იმპერია—საპრეზიდენტო იმპერიად.

ყურადღება, ყურადღება!

მიმდინარე წლის პირველ აპრილს ქალაქის ცენტრალურ ბაღში ვიწვევთ ყველას. გვჯერა, ბაღის მწვანე საფარველი, განახლებული დასაჯდომი მერხები, ქალაქის თამარისა და დავით აღმაშენებლის ქუჩების მცხოვრებთ ვაცნობებთ, რომ გავითვალისწინეთ რა მათი მრავალწლანი თხოვნა, პირველი აპრილისათვის განვაახლეთ ქუჩის და ტროტუარების ასფალტის საფარველი, გასწორდა ხელოვნურად შექმნილი ორმოები ზედაპირები. ასე რომ პირველი აპრილიდან ფეხით მოსიარულეებს და ავტომანქანათა მფლობელებს აღარ დასჭირდებათ გაწაფვა მძღოლობის ისეთ სახეში, როგორიცაა სიგრძეზე ხტომა.

ცაგერის კომუნალური მეურნეობის კომბინატის დირექცია.

* * *

სავაჭრო ქსელში მიღებულია იმპორტული საქონელი, ქალისა და მამაკაცის ტრიკოტაჟის ნაწარმი, აღნიშნული საქონელი 1 აპრილს უნივერმაღის ტრიკოტაჟის სექციაში გაიყიდება, და არა „ჩრდილოეთი" კუთხეში.

რაიკოოპერატივის გამგეობა.

კოჰიბროლა იმე.

ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ!

ლენტეხის რაიონში ზამთრის პერიოდში დიდთოვლობისა და გაზაფხულზე წყალდიდობის შედეგად უმეტესწილად მწყობრიდან გამოდის ავტოსამანქანო გზები, ეს კი გარკვეული დროით აფერხებს ავტომანქანების მოძრაობას ამ პერიოდში. სწორედ ამიტომ რაიონის ხელმძღვანელობამ-არაერთხელ დააყენა საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს წინაშე ლენტეხის რაიონში შვეულმფრენის დანიშვნის შესახებ. და აი, ამას წინათ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დახმარებით გადაიჭრა ჩვენი რაიონისათვის კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი—დაინიშნა შვეულმფრენის რეისი თბილისი-ლენტეხი-ჩიხარეში-ლენტეხი-თბილისი. საკითხის დადებითად გადაჭრისთანავე რაიონში დაიწყო დასაფრენი მოედნის გაკეთება. იგი გაიწმინდა ქვებისაგან, დაიგო შავი საფარი, დამონტაჟებულია აგრეთვე რადიოკავშირის ხელსაწყოები. შვეულმფრენის რეისები გაიმართება კვირაში სამი დღე—სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს. იმ შემთხვევაში, თუ შვეულმფრენის რეისი ცუდი ამინდის გამო ჩაიშალა, იგი მეორე დღეს უნდა ანაღზაურდეს აუცილებლად. დადგენილია მოძრაობის გრაფიკი. შვეულმფრენი თბილისიდან გამოვა 9 საათზე და იგი ლენტეხში იქნება 10 საათსა და 15 წუთზე, ლენტეხიდან ჩიხარეშში გავა 10 საათსა და 35 წუთზე და ჩიხარეშში იქნება 10 საათსა და 55 წუთზე. ჩიხარეშიდან გამოვა 12 საათსა და 20 წუთზე და ადგილზე იქნება 12 საათსა და 40 წუთზე. ლენტეხიდან თბილისში კი გავა 13 საათზე. ამასთანავე დადგენილია აგრეთვე მგზავრობის ბილეთების ღირებულება. რეისი თბილისი-ლენტეხის ბილეთის ღირებულება 20 მანეთი და 50 კაპიკია, თბილისი-ჩიხარეშის—24 მანეთი და 50 კაპიკი, ხოლო ლენტეხი-ჩიხარეში—4 მანეთი. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 5 მანეთზე ნაკლები ღირებულების ბილეთებზე 50 კაპიკის დარიცხვა არ ხდება, ხოლო 5 მანეთზე ზევით ღირებულების ბილეთს ერიცხება 50 კაპიკი.

დადგენილია აგრეთვე ლენტეხისა და ჩიხარეშის აეროპორტებზე თბილისის მგზავრობისათვის ბილეთების გაყიდვის ნორმა. ლენტეხი-თბილისის რეისზე ბილეთი გაიყიდება 15 მგზავრზე, ჩიხარეში-ლენტეხზე—5მგზავრზე.

მშრომელებს უკვე საშუალება ექნებათ ისარგებლონ ამ სიკეთით და იმგზავრონ მსუბუქად და მშვიდობით.

ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ ძვირფასო მგზავრებო.

სერგო ღიპარტელიანი,

ლენტეხის ვერტოდრომის უფროსი.

ეს საინტერესოა

მაგნიტოფონი — მალიუტკა

ტოკიო. მსოფლიოში ყველაზე მინიატურული მაგნიტოფონი გააკეთეს ცნობილი იაპონიის ელექტრონიკის მწარმოებელი ფირმის „სონის“ სპეციალისტებმა. ხმის ჩასაწერად მასში გამოიყენება ჩვეულებრივი საფოსტო მარკის ტოლი კასეტა. მისი სისქე 5 მილიმეტრია, სიგრძე 3 სანტიმეტრი. სიგანე—2,15 სანტიმეტრი. და თუმცა მინიკასეტა ოთხჯერ ნაკლებია სტანდარტულზე, მისი ხმოვანება ორ საათამდეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

ბილოცავთ

ლალი გივის ასულ ზვიადაძეს ელდარ ნოდარის ძე მურცხვალაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ გამრავლებას, სიხარულს.

კომუნალურ საწარმოთა კომბინატის თანამშრომლები.

ნონა იურის ასულ ჩაკვეტაძეს გოგი გურამის ძე მუშკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძეძლიერი ოჯახი.

თემურ, ზაურ ბენდელიანები, გერონტი სილაგაძე, ტულული ხაბულიანი. გრიგოლ საღინაძე, კოლია ჩაკვეტაძე, თემურ შკუბულიანი ოჯახებით.

ნანა გახვას ასულ კოპალიანს გოგი აქვსენტის ძე გოლეთიანს

გილოცავთ ბედნიერებას. მარადიული სიყვარული და ერთგულება, შვილთა სიმრავლე ალამაზებდეს თქვენს სიცოცხლეს.

თამრიკო, თემურ ცვარიანები ოჯახით.

ბილოცავთ

ქეთინო დავითის ასულ ახვლედიანს ოთარ გენიას ძე თუთისანს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გისურვებთ შვილთა სიმრავლეს, ულევ სიხარულს.

ცაგერის სახდაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები.

ქეთინო და ზაურ ყურაშვილებს

გილოცავთ ქალიშვილის გაბედნიერებას.

ცაგერის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის თანამშრომლები.

ლოლა, ამირან ჩახუღიანებს

გილოცავთ ვაჟიშვილის ბედნიერებას.

ცაგერის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის თანამშრომლები.

ნონა იურის ასულ ჩაკვეტაძეს

გილოცავ დაბადების დღეს. გაზაფხულივით ლაღი, და ხალისიანი ყოფილიყავ მარადჟამს.

ნანა ცვარიანი.

ლიდა სარდიონის ასულ გოგოხიძეს

გილოცავთ დაბადების დღეს, 60 წლის შესრულებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელ სიცოცხლეს.

ნელი მუკვანი, მარინე ხეცურიანი, იზო ლომთაძე, ლეილა ლემონჯავა.

შვილები ვანო, ნადია, ფაფალა, და პელო, რძლები ეთერი, ქენია, შვილიშვილები ამირან, რომანი, მერი, ხათუნა ასმათი, ნათელა, რეზო, ჯამბული, მაყვალა, რუსიკო, შვილთაშვილები, დისშვილები, ძმისშვილები, სიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დესპინე დავითის ასული კოპალიანი-ბენდელიანი.

დაკრძალვა 1 აპრილს, კვირას, სოფ. ქულბაქში.

ცაგერის №91 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივი თანაუგრძნობს დარეჯან გასვიანს დედამთილის

თინა ლარცულიანის

გარდაცვალების გამო.

ტვიშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის აპარატის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შუშანა მიხეილის ასული ასათიანი-ღულაძე.

ჩხუტელის საშუალო სკოლის 1969 წლის კურსდამთავრებულები გულო მეშველიანი, ზაურ, ზაირა, მზია სილაგაძეები, თამაზ, ციცო, გენადი კვირკაშვილები, მუხრან, ნაირა, მაყვალა, ფოთოლა, ალეკო მურცხვალაძეები, მურთაზ, ვახტანგ ტვილდიანები, სოსო ჩაფრავა, ჩიტო სვანიძე, რომან დაშნიანი, რობერტ კოპალიანი თანაუგრძნობენ ბელა მეშველიანს და როლანდ სილაგაძეს დედისა და სიდედრის

ფედოსი მეშველიანის

გარდაცვალების გამო.

დადაში მეშველიანი ოჯახით თანაუგრძნობს თაილი, ნაილი ყვირილიანებს ძმის

რეზო ყვირილიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ნორა ახვლედიანს ბიძაშვილის

თამარ ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

დები თაილი, ნაილი, სიძეები გოგი ადამია, ზაურ მახარობლიძე, მამიდები ნადია, სერნო, დისშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რეზო ყორას ძე ყვირილიანი.

დაკრძალვა 3 აპრილს, სამშაბათს, სოფ. ლაჯანაში. გამოსვენება 31 მარტს, შაბათს ქ. სოხუმიდან. კვარაცხელიას ქ. №13.

როინ საღინაძე, დემურ გოგიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ელდარ და ჯემალ საღინაძეებს დეიდის

თამარ ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

ჩხუტელის კოლმეურნეობის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რუბენ მეშველიანს დედის

ფედოსი მეშველიანის

გარდაცვალების გამო.

შემნახველი ბანკისა და მისი ფილიალების თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ კონსტანტინეს ასული ახვლედიანი.

ტვიშის კოლმეურნეობის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კუკური ასათიანს დის

შუშანა ასათიანის

გარდაცვალების გამო.

ადგილმრეწველობის კომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვალერი ჯიაძეს მამიდის

ნინა ჯიაძე-ბენიძის

გარდაცვალების გამო.

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ სერნო ჩარხიანს ძმისშვილის

რეზო ყორას ძე ყვირილიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის სახდაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია, გოგი მეშველიანებს დედის

ფედოსი მეშველიანის

გარდაცვალების გამო.

სამსონ, შალვა, კარლო კვირკაშვილები, გენურ-ქარსელაძე, ავთო საღინაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ფედოსი მეშველიანი.

ორბელის კოლმეურნეობის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გრიშა მეშველიანს დედის

ფედოსი მეშველიანის

გარდაცვალების გამო.

ჯიბილო, ქორა ლარცულიანები, როინ ჩაკვეტაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ დავით ლარცულიანს მეუღლის

თინა ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო.

ჩხუტელის საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს ლილი ლიპარტელიანს, ნონა მეშველიანს, ნანი კვირკაშვილს

ფედოსი მეშველიანის

გარდაცვალების გამო.

ოთარ, პიერ, ბიჭიკო ფუტკარაძეები, ვალერი, კოლუმბი, მიშა ჩარკვიანები, მურთაზ ბენდელიანი, ზურაბ უგულავა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თინა გიორგის ასული ჩარკვიანი-ლარცულიანი.

ცაგერის №91 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივი თანაუგრძნობს ჯემალ საღინაძეს დეიდის

თამარ ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

ქალაქის ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბელა მეშველიანს და როლანდ სილაგაძეს დედისა და სიდედრის

ფედოსი მეშველიანის

გარდაცვალები გამო.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3[illegible],

განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,

გაზეთი გამოდის ხუთშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66539, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ჭუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.